

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომის

ოქმი N 2

ქ. ვანი N 65

23 მარტი 2021 წელი

12:00 საათი

**სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები :** კობა ტოხვაძე, შალვა ლორთქიფანიძე, თენგიზ დვალიშვილი, ტარიელ ბარამიძე, ივანე კორძაძე, მერაბ ხურციძე, თამარ შენგელია.

**საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდა:** ალექსანდრე ოქროპილაშვილი.

*სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.*

**მოწვეული პირები:** ვანის მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი - **ირმა ცხვარაძე.**

ა(ა)იპ „საფეხბურთო კლუბ „სულორი ვანის“ დირექტორის - **როინ კანკაძე.**

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - **ივანე მამფორია.**

*/დანართი N1/*

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - კობა ტოხვაძე (კომისიის თავმჯდომარე)  
კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე**

**დღის წესრიგი**

1. ვანის მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ანგარიშის მოსმენა 2020 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს: ირმა ცხვარაძე

2. ა(ა)იპ „საფეხბურთო კლუბ „სულორი ვანის“ დირექტორის ინფორმაციის მოსმენა 2021 წლის საფეხბურთო სეზონისთვის მზადების შესახებ.

მომხს: როინ კანკაძე

3. ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის მოსმენა.

მომხს; ივანე მამფორია

**გადაწყვეტის:** დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

### **მოისმინეს :**

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ირმა ცხვარაძემ კომისიის წევრებს გააცნო კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის 2020 წლის ანგარიში.

მომხსენებელმა განმარტა, რომ მ/წელს, კულტურის სამსახურს მრავალი ღონისძიება ჰქონდა დაგეგმილი სხვადასხვა მიმართულებით, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული საკითხების კუთხით. თებერვლის თვეში, სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2020 ის მონაწილე, მუნიციპალურ ტურში გამარჯვებული მოსწავლეებისათვის სამსახურმა შეიძინა 2090,00 ლარის ღირებულების 87 კომპლექტი სპორტული ფორმა (მაისური, შორტი), 03 მარტს დედის დღესთან დაკავშირებით, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული ვანელი გმირი ჯარისკაცების დედებისათვის შეძენილი და გადაცემული იქნა 565,00 ლარის ღირებულების 9 ცალი ფასიანი საჩუქარი. 10 თებერვალს ვანის კულტურის ცენტრში სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა საქველმოქმედო კონცერტი, ჩვენი რაიონის მკვიდრის ზაზა დვალიშვილის დასახმარებლად, რომელსაც ჯანმრთელობის მიმე პრობლემა აქვს, საკონცერტო აპარატურის ქირავნობაზე დახარჯული იქნა 550,00 ლარი. საქართველოს მთავრობისა და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის რეკომენდაციების საფუძველზე, გაუქმებულ იქნა „სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2020“- ის მუნიციპალური და რეგიონული ღონისძიებები და მხოლოდ რამდენიმე აქტივობა განხორციელდა დისტანციურ რეჟიმში. კერძოდ: განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის ეგიდით. 13 აგვისტოდან მიმდინარეობდა აგვისტოს ომში დაღუპული გმირების ხსოვნისადმი მიძღვნილი მინი-ფეხბურთის ტურნირი, სამსახურმა მონაწილე გუნდებისათვის შეიძინა 348,00 ლარის ღირებულების სპორტული ინვენტარი. Covid -19 ის ვირუსით გამოწვეული პანდემიის პირობებში ვანის მუნიციპალიტეტის შოთა ხურციდის სახელობის საპრასიის საჯარო სკოლამ განახორციელა ფიზიკური და სპორტული აქტივობების ხელშემწყობი ონლაინ კამპანია #BeActive -შემოგვიერთდი და გააზიარე პოზიტიური მუხტი.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს მიმართა, წარმოდგენილი საკითხის მიმართ ხომ არ გაქვთ შეკითხვა ან შენიშვნა, კომისიის წევრებს მოსაზრებები არ დაუფიქსირებიათ.

კომისიამ მოიწონა მომხსენებლის მიერ მოწოდებული ინფორმაცია.

**დაადგინეს:** კომისიამ წარმოდგენილი საკითხი მიიღო ცნობის სახით.

### **მოისმინეს :**

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა როინ კანკაძემ კომისიის წევრებს გააცნო ა(ა)იპ „საფეხბურთო კლუბ „სულორი ვანის“ დირექტორის ინფორმაციის მოსმენა 2021 წლის საფეხბურთო სეზონისთვის მზადების შესახებ ინფორმაცია.

მომხსენებელმა მოკლედ განმარტა, რომ 2021 წლის თებერვალში შეიკრიბა ლიგა 4-ს ფეხბურთელები და მზადება დაიწყო ეროვნული ჩემპიონატისთვის ასევე კალენდარულ თამაშებს აგრძელებს U-15, U-13, U-10 ვაჟშვთა საფეხბურთო სკოლა. ჩვენი მიზანია შევინარჩუნოთ ლიგა 4 საგზური და წარმატებას მივაღწიოთ ბავშვთა ასაკობრივ ჯგუფებში.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს მიმართა, წარმოდგენილი საკითხის მიმართ ხომ არ გაქვთ შეკითხვა ან შენიშვნა, კომისიის წევრებს მოსაზრებები არ დაუფიქსირებიათ.

კომისიამ მოიწონა მომხსენებლის მიერ მოწოდებული ინფორმაცია.

**დაადგინეს:** კომისიამ წარმოდგენილი საკითხი მიიღო ცნობის სახით.

#### **მოისმინეს :**

დღის წესრიგით წარმოდგენილ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივამე მამფორიამ კომისიის წევრებს 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2019 წლის 25 დეკემბერს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს N27 დადგენილებით. შემოსულობების და გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა 10311,9 ათასი ლარით. 2020 წლის განმავლობაში ბიუჯეტში ექვსჯერ იქნა შეტანილი ცვლილებები და შემოსულობები დაზუსტდა 15624,8 ათასი ლარის, გადასახდელები 16948,9 ათასი ლარის, ხოლო ნაშთის ცვლილება 1324,1 ათასი ლარის მოცულობით.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს მიმართა, წარმოდგენილი საკითხის მიმართ ხომ არ გაქვთ შეკითხვა ან შენიშვნა, კომისიის წევრებს მოსაზრებები არ დაუფიქსირებიათ.

**დაადგინეს:** კომისიამ წარმოდგენილი საკითხი მიიღო ცნობის სახით.

საკითხის ამოწურვის შემდეგ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კობა ტოხვაძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ  
საქმეთა კომისიის თავმჯდომარე